საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
MINISTRY OF FINANCE AND ECONOMY

www.mofea.ge

6018 ქ. ბათუმი, კომახიძის ქ. №119 ტელეფონი: (04 22) 27 35 10 (102) ფაქსი: (04 22 27 66 71)
6018 №119 Komakhidze str, Batumi, Georgia Tel: (04 22) 27 35 10 (102) Fax: (04 22 27 66 71)

283-01-01-10-2-202102011726

N 01-01-10/283
01/02/2021

ქალბატონ ნაზიბროლა რეხვიაშვილს
(ბათუმი, წერეთლის ქ. N6, ბ. N43
ელ. ფოსტა: editorrekhviashvili@gmail.com ; მობ: 557 20 00 01)

ქალბატონო ნაზიბროლა,

თქვენი 2020 წლის 22 იანვრის წერილის (სამინისტროში რეგ. №01-01-09/163) პასუხად გეგზავნებათ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია, ამასთანავე გაცნობებთ, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 418-ე მუხლის თანახმად, პირგასამტეხლო წარმოადგენს მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრულ ფულად თანხას, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის შედეგად მყიდველების/მოიჯარეების მიერ ვალდებულებათა დროულად შეუსრულებლობის გამო პირგასამტეხლოს აკისრებს მასთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში. თუმცა, როგორც წესი ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში სამინისტროს მიერ დაკისრებული პირგასამტეხლო ნებაყოფლობით არ გადაიხდევინება მხარის მიერ და დავა გრძელდება სასამართლოში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის შესაბამისად, „სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო“. აქვე აღსანიშნავი ფაქტობრივი გარემოებაა, რომ სასამართლო, სახელშეკრულებო დავების განხილვისას, როგორც წესი მნიშვნელოვნად ამცირებს პირგასამტეხლოს.

ასევე გაცნობებთ, რომ 2019 და 2020 წლებში ჯამურად 2 651 669.2 ლარის და 350 000 დოლარის ექვივალენტ ლარის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია იქნა გამოთხოვილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მხრიდან ინვესტორების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო და

ჩაირიცხა ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტში კანონით დადგენილი წესის შესაბამისად. ასევე, სახელშეკრულებო პირობების დარღვევის გამო გადასახდელი პირგასამტეხლოს დაკისრებასა და ამოღების მიზნით 2019 და 2020 წლებში, სამინისტრო ახორციელებდა 16 საქმეზე სამართალწარმოებას.

იხილეთ დანართი: „1“ ფურცელი.

პატივისცემით,

ჯაბა ფუტკარაძე

მინისტრი

.